სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (რიგგარეშე)
სხდომა №38
<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. სტუ-ის წესდებაში ცვლილებისა და დამატებების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლომსაძე);
2. სტუ-ის შინაგანაწესის დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლომსაძე);
3. გიორგი ნიკოლაძის მედალის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ის რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი);
4. კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრის დებულების დამტკიცება (მომსხენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი);
5. სტუ-ს სამხედრო საინჟინრო ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი);
6. სტუ-ს პერსპექტიული მიმართულებების ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი);
7. შედუღების ტექნოლოგიათა ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. მალხაზ ხუციშვილი);
8. სტუ-ის დეპარტამენტის (ზოგად) დებულებაში ცვლილებისა და დამატებების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ანზორ შავგულიძე);
9. შპს "ამირანი XXI"-თვის იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. დავით ჯაფარიძე);
10. პროფ. ელმირა ჩხიკვაძისთვის საპატიო დიპლომის გადაცემის საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. გიორგი სალუქვაძე);
11. მიმდინარე საკითხები:
    ა) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის (რიგგარეშე) სხდომის
ოქმი №38

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 39. სხდომას უძღვებოდა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: ასოც. პროფ. თალიკო ჟვანია, ასოც. პროფ. მალხაზ ხუციშვილი, სტუდენტი თენგიზ ჯანგულაშვილი.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლომსაძე.

პროფ. ზურაბ ლომსაძე – სტუ-ის წესდებაში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები. წესდება განხილულია მუხლობრივად.

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ბ-ნი ბექა მაისურაძე – ფაკულტეტის სტრუქტურას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭო.

პროფ. აგული სოხაძე – წესდებაში შეტანილი იქნეს შესწორება: იყოს არა მიმართულება, არამედ კათედრა.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – შემოსავლების გაზრდა და შემცირება უნდა მიიღოს არა აკადემიურმა საბჭომ, არამედ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა. თუ ფაკულტეტის რეორგანიზაციაზე ან ლიკვიდაციაზეა ლაპარაკი, ამის გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო, მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ ნებისმიერი ფინანსური საკითხი უნდა განიხილოს აკადემიურმა საბჭომ, ე.ი. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვეღარ წყვეტს ვერაფერს?

პროფ. ზურაბ ლომსაძე – საპატიო დიპლომი შემოიღო აკადემიურმა საბჭომ, მაგრამ დაამტკიცა წარმომადგენლობითმა საბჭომ, იგივეა აქაც.

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ბ-ნი ბექა მაისურაძე – ბიუჯეტი მტკიცდება წელიწადის დასაწყისში, შუა წელიწადში მოხდა ხარჯების გაზრდა. როგორ უნდა ვარეგულიროთ?

დაადგინეს: მე-13 მუხლის მე-4 პუნქტს მიეცეს შემდეგი ფორმულირება: თუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება იწვევს ხარჯების ცვლილებას ბიუჯეტში ის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს.

სპიკერი – ვინ არის მომხრე იმ ცვლილებების, რომელიც შეიმუშავა აკადემიურმა საბჭომ ჩვენი შესწორებების გათვალისწინებით?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის, პროფ. ზურაბ ლომსაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის წესდებაში შესატანი ცვლილებები და შესწორებები (იხ. დანართი 1).

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ის შინაგანაწესის დამტკიცება – მომხსენებელი, პროფ. ზურაბ ლომსაძე.

პროფ. ზურაბ ლომსაძე – განათლების კანონის თანახმად, უნდა არსებობდეს ნორმატიული დოკუმენტები, რითაც სარგებლობს სტუ. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია შინაგანაწესი (იხ. დანართი). შინაგანაწესზე მუშაობდა ჯგუფი, რომელიც ეყრდნობოდა შრომის კოდექსსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს. ჯერჯერობით შევჯერდით წარმოდგენილ ვარიანტზე. სექტემბერში მოხდება მისი გადახედვა და შესაბამისი შესწორების შეტანა.

პროფ. ჯემალ ბერიძე – თავი III, მუხლი 11, პუნქტი 2 და თავი VIII, მუხლი 30, პუნქტი 4 – ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

პროფ. ზურაბ ლომსაძე – გეთანხმებით, მაგრამ წარმოდგენილ შინაგანაწესს, როგორც ვთქვით, სექტემბერში ისევ მივუბრუნდებით.

სპიკერი – გთხოვთ, კენჭი უყაროთ შინაგანაწესს წარმოდგენილი სახით. გთხოვთ მოსაზრებები და შენიშვნები სექტემბრისთვის წერილობით წარმოგვიდგინოთ.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის, პროფ. ზურაბ ლომსაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესი (იხ. დანართი 2).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მესამე საკითხს – "გიორგი ნიკოლაძე" მედლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება. ამ საკითხზე სიტყვას გადავცემ სტუ-ის რექტორს, პროფ. არჩილ ფრანგიშვილს.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – "გიორგი ნიკოლაძის" მედალთან დაკავშირებით, საკითხი შემოღებულ იქნა ჩოგოვაძის დროს. ეს მედალი უზრუნველყოფილი იყო ფულადი მხარდაჭერით იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება გადიოდა პენსიაზე. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემის გამო, აკადემიურმა საბჭომ შეაჩერა ფულადი ანაზღაურების საკითხი. ახლა ისევ დავდექით ფეხზე და შემოვდივართ ინიციატივით მედლის ფულადი მხარდაჭერის უზრუნველყოფით. მედლის მფლობელს საშუალება ექნება აირჩიოს ერთ-ერთი ან ემერეტუსი, ან ნიკოლაძის მედალი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი მედლის "გიორგი ნიკოლაძე" დებულებაში ცვლილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა მედლის "გიორგი ნიკოლაძე" დებულების მეხუთე პუნქტში შესატანი ცვლილება, კერძოდ:

5. ***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელს – მედლის "გიორგი ნიკოლაძე" მფლობელს – სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფულადი ჯილდოს სახით ეძლევა ყოველთვიური თანხა, პენსიაში გასვლის მომენტისათვის არსებული ხელფასის რაოდენობით.***

მედლის "გიორგი ნიკოლაძე" მფლობელს ემერეტუსის სტატუსის მინიჭების, შრომითი საქმიანობის დაწყების ან გაგრძელების შემთხვევაში უწყდება ფულადი ჯილდოს მიცემა (იხ. დანართი 3).

პროფ არჩილ ფრანგიშვილი – მინდა აგრეთვე მოგაწოდოთ სასიხარულო ინფორმაცია – მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუშაობს კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციაზე სტუ-ში. მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ კვლევითი ინსტიტუტი "მეტსი" თავისი საწარმოო ბაზით შემოდის ჩვენ ინსტიტუტში. ეს არის 100 ჩარხი მუშა მდგომარეობაში თავისი ანგარით, ადმინისტრაციული და საწარმოო შენობა სულ 20 000 m^2 ტერიტორიით, რომლის ღირებულება ძალიან მაღალია. ის გადმოდის ჩვენთან უზუფრუქტის წესით, რაც უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის საშუალებას (3 000 სტუდენტი) იძლევა, მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო და ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტები იქ გაივლიან პრაქტიკას. ამ ტერიტორიის შემოერთებას მოჰყვება გასავალი, ქონების გადასახადის სახით, მაგრამ ეს იმდენად მცირეა, რომ ამ ტერიტორიაზე მყოფი პატარა საწარმოები მთლიანად გაისტუმრებენ ამ ხარჯებს. მინდა მხარი დამიჭიროთ ამ წამოწყებაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი რექტორის მიერ წარმოდგენილ ინიციატივას.

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხს – კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრის დებულების დამტკიცება – მომსხენებელი, პროფ. ზურაბ გასიტაშვილი.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი – წარმოგიდგენთ კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრის დებულებას. ამ დებულებას თქვენ ალბათ გაეცანით. თუ გაქვთ შეკითხვები შემიძლია გიპასუხოთ.

კითხვები არ იყო და სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის მოადგილის, პროფ. ზურაბ გასიტაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა კულტუროლოგიისა და ქართული კულტურის კვლევის ცენტრის დებულება (იხ. დანართი 4).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხს – სტუ-ის სამხედრო-საინჟინრო ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი, პროფ. ზურაბ გასიტაშვილი.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი – წარმოგიდგენთ სტუ-ის სამხედრო-საინჟინრო ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დებულებას. გთხოვთ დამისვათ შეკითხვები.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ამ ცენტრებს ვაძლევთ ბაზას, სამაგიეროდ რას ვიღებთ? საჭიროა ჩავუწეროთ ვალდებულებებიც.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი – ეს ახალი ცენტრებია და მათზე ჯერ ვერაფერს ვიტყვით. ვაპირებთ მონიტორინგის ჩატარებას უკვე არსებული ცენტრების მუშაობის შესახებ და შემდგომში წარმოგიდგენთ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ყველა ცენტრი თვითონ იხდის კომუნალურ გადასახადს.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის მოადგილის, პროფ. ზურაბ გასიტაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის სამხედრო-საინჟინრო ტექნოლოგიების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის სამხედრო-საინჟინრო ტექნოლოგიების ცენტრის დებულება (იხ. დანართი 5).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხს – სტუ-ის პერსპექტიული მიმართულებების ცენტრის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი, პროფ. ზურაბ გასიტაშვილი.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი – წარმოგიდგენთ სტუ-ის პერსპექტიული მიმართულებების ცენტრის დებულებას დასამტკიცებლად.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის მოადგილის, პროფ. ზურაბ გასიტაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის პერსპექტიული მიმართულებების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის პერსპექტიული მიმართულებების ცენტრის დებულება (იხ. დანართი 6).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს – შედუღების ტექნოლოგიათა ცენტრის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი, პროფ. მალხაზ ხუციშვილი.

პროფ. მალხაზ ხუციშვილი – წარმოგიდგენთ შედუღების ტექნოლოგიათა ცენტრის დებულებას. ეს ცენტრი უკვე აქტიურად ფუნქციონირებს. გთხოვთ, დამისვათ შეკითხვები.

შეკითხვები არ იყო და წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის, პროფ. მალხაზ ხუციშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი შედუღების ტექნოლოგიათა ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა შედუღების ტექნოლოგიათა ცენტრის დებულება (იხ. დანართი 7).

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მერვე საკითხს – სტუ-ის დეპარტამენტის (ზოგად) დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება – მომხსენებელი, პროფ. ანზორ შავგულიძე.

პროფ. ანზორ შავგულიძე – სტუ-ის ფაკულტეტების სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის (ზოგად) დებულებაში, აკადემიური საბჭოს 2007 წლის 26 ივნისის დამტკიცებული დებულების „ორგანიზაცია და უფლებამოსილებანი" ნაწილში შეტანილ იქნეს ცვლილება და მისი მე–2 აბზაცი ჩამოყალიბდეს ამგვარი რედაქციით: „დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სრული ან/და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე".

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 31, წინააღმდეგი –2, თავი შეიკავა – 6.

პროფ. ანზორ შავგულიძე – მიმართულების ზოგადი ცნებების ნაწილში შეტანილ იქნეს ცვლილება და მისი ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "მიმართულების ხელმძღვანელი აირჩევა ამავე მიმართულების აკადემიური პერსონალის მიერ შესაბამისი დეპარტამენტის სრული პროფესორების შემადგენლობიდან და მტკიცდება აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე". ეს არის გარდამავალი დებულება.

პროფ. ივანე შავთვალიშვილი – რითია გამოწვეული ეს ცვლილება?

ამ ცვლილების მიმართ საბჭოს წევრების მხრიდან გამოითქვა უარყოფითი დამოკიდებულება. სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა ეს საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 2, წინააღმდეგი –36.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის მრჩევლის, პროფ. ანზორ შავგულიძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის დეპარტამენტის (ზოგად) დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცების შესახებ.

1. **დებულების "ორგანიზაცია და უფლებამოსილებანი" ნაწილში შეტანილ იქნეს ცვლილება და მისი მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს ამგვარი რედაქციით:**

"დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სრული ან/და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე";

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით (მომხრე 31, წინააღმდეგი 2, თავი შეიკავა 6), დამტკიცდა წარმოდგენილი ცვლილების პირველი პუნქტი.

2. წარმოდგენილი ცვლილების მეორე პუნქტი, კერძოდ, ***"მიმართულების ხელმძღვანელი აირჩევა ამავე მიმართულების აკადემიური პერსონალის მიერ შესაბამისი დეპარტამენტის სრული პროფესორების შემადგენლობიდან და მტკიცდება აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე".***

კენჭისყრის შედეგად ეს ცვლილება არ დამტკიცდა – მომხრე 2, წინააღმდეგი 37, თავი არავინ შეიკავა (იხ. დანართი 8).

სპიკერი – წარმოგიდგენთ მეცხრე საკითხს – შპს "ამირანი XXI"-თვის იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ. მომხსენებელი, პროფ. დავით ჯაფარიძე.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენ კომისიაზე ვიმსჯელეთ ამ საკითხის თაობაზე და ვფიქრობთ შესაძლებელია ტენდერის დამთავრებამდე გავუგრძელოთ ვადა. ამით ფულიც შემოვა ბიუჯეტში.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჩვენი ბუღალტერია ვერ აიღებს ფულს, რადგან მათ უკვე დაუმთავრდათ ხელშეკრულება. ამ ქალბატონს ავუხსენი ყველაფერი. თქვენ არ გაქვთ უფლება გაუგრძელოთ ვადა.

პროფ. დავით ჯაფარიძე – მაშინ მოვხსნათ ეს საკითხი განხილვიდან.

სპიკერი – ვხსნი ამ საკითხს განხილვიდან. ახლა წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მე-10 საკითხს – პროფ. ელმირა ჩხიკვაძისათვის საპატიო დიპლომის გადაცემის დამტკიცების შესახებ – მომხსენებელი, პროფ. გიორგი სალუქვაძე.

პროფ. გიორგი სალუქვაძე – აკადემიურმა საბჭომ დაადგინა, რომ სტუ-ის წინაშე დიდი დამსახურებისთვის, ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ქ-ნი ელმირა ჩხიკვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დიპლომით. ვულოცავთ მას ამ ჯილდოს.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის აკადემიური საბჭოს მდივნის, პროფ. გიორგი სალუქვაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის პროფ. ელმირა ჩხიკვაძისათვის საპატიო დიპლომის გადაცემის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №136[2] დადგენილება: პროფ. ელმირა ჩხიკვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო დიპლომით და ერთი თვის ხელფასით (იხ. დანართი 9).

მიმდინარე საკითხები:

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მიმდინარე საკითხების ა) პუნქტს – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში არის ნაწილობრივი ცვლილება, კერძოდ, ოფისის ხარჯების კომუნალური მომსახურებისათვის, გაყვანილობისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯებიდან (სულ 10000 ლარი) 2000 ლარი გადატანილ იქნეს კონდიციონერების შესაძენად, ასევე მიმართულებების სარემონტო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა 2200 ლარი გადატანილ იქნეს შესაბამისი მიმართულების სოციალური დახმარებისათვის.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 23 ივლისის №38 (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ივლისის №38 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ***ოფისის ხარჯების კომუნალური მომსახურებისათვის, გაყვანილობისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯებიდან (სულ 10 000 ლარი) 2000 ლარი გადატანილ იქნეს კონდიციონერების შესაძენად;***
2. ***მიმართულებების სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა 2200 ლარი (26ა მიმართულება – 1500 ლარი, 109 მიმართულება – 300 ლარი, 123 მიმართულება – 250 ლარი, 26-ე მიმართულება – 150 ლარი) გადატანილ იქნეს შესაბამისი მიმართულებების სოციალური დახმარების ფონდში (იხ. დანართი 10).***

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/